გენერალური ხელშეკრულება

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებულ ოქროს სერტიფიკატებთან დაკავშირებული საბროკერო მომსახურების გაწევის შესახებ

ქ. თბილისი dd.mm.202--წელი

ხელშეკრულების მხარეები:

ერთი მხრივ, **სს „ბანკი ქართუ“** (ს/ნ 204891652) (შემდგომ **„ბანკი“**) წარმოდგენილი ---------- სახით და

მეორე მხრივ, ---------- (ს/ნ / პ/ნ -------) (შემდგომ **„კლიენტი“**), წარმოდგენილი ---------- სახით,

ერთობლივად წოდებული **„მხარეებად“**, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

ტერმინთა განმარტება:

ხელშეკრულება - წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებულ ოქროს სერტიფიკატებთან დაკავშირებული საბროკერო მომსახურების გაწევის შესახებ, მისი დანართ(ებ)ი და ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც ფორმდება/გაფორმდება მხარეთა შორის ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით;

დანართი - შეთანხმება, ტარიფები ან განაცხადი, რომელიც განსაზღვრავს ხელშეკრულების დამატებით პირობებს, ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს, მიუხედავად დანართების რაოდენობისა;

საბანკო ანგარიში - ბანკში არსებული კლიენტის საბანკო ანგარიშ(ებ)ი;

კანონმდებლობა - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, აგრეთვე, საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები;

ოქროს სერტიფიკატი - საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული უვადო და უპროცენტო ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს ეროვნული ბანკის ვალდებულებას საკუთრებაში იქონიოს სერტიფიკატის შესაბამისი სტანდარტიზებული ოქროს ზოდი და სერტიფიკატის განაღდების მოთხოვნის შემთხვევაში, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი პირობებითა და დადგენილ ვადებში, სერტიფიკატის მესაკუთრეზე (მისი სახელით მოქმედი ბანკის მეშვეობით) გასცეს შესაბამისი სტანდარტიზებული ოქროს ზოდი/ზოდები.

სტანდარტიზებული ოქროს ზოდი / სტანდარტიზებული ზოდი – საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხარისხის, ფორმის, დამღის, წონისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 10 ნოემბრის N315/04 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ეროვნული ბანკის ოქროს სერტიფიკატების დებულებით“ (შემდგომ „დებულება“) განსაზღვრული სხვა მახასიათებლების შესაბამისად დამზადებული ოქროს ზოდი;

ბანკი **კლიენტი**

--- ---

ოქროს სერტიფიკატის განაღდება - საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ოქროს სერტიფიკატის მესაკუთრისათვის ოქროს სერტიფიკატის სანაცვლოდ სტანდარტიზებული ზოდის/ზოდების მიწოდება ბანკის მეშვეობით;

GSSS სისტემა - საქართველოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემა;

საბანკო დღე - დღე (შაბათის, კვირის ან/და კანონმდებლობით კომერციული ბანკებისათვის განსაზღვრული ოფიციალური დასვენების დღეების გარდა), როდესაც საქართველოში კომერციული ბანკები ღიაა და წარმართავენ თავიანთ საქმიანობას.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ბანკი კლიენტს გაუწევს ოქროს სერტიფიკატის შეძენასთან, გასხვისებასთან, განაღდებასთან და დაგირავებასთან დაკავშირებულ მომსახურებას (შემდგომ „საბროკერო მომსახურება“) ბანკში დადგენილი პროცედურების შესაბამისად, ხოლო კლიენტი ბანკს გადაუხდის მომსახურების საფასურს, საკომისიოს და სხვა გადასახდელებს ამ ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობით;

1.2. კლიენტისათვის საბროკერო მომსახურების გაწევა და კლიენტის მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული გადასახადების გადახდა ხდება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესისა და პირობების შესაბამისად.

1.3. ამ ხელშეკრულების საფუძველზე საბროკერო მომსახურების გაწევა განიმარტება როგორც ბანკის უფლება და არა ვალდებულება. თითოეული საბროკერო მომსახურების გაწევის საკითხს ბანკი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განიხილავს კლიენტის ცალკე განაცხადის საფუძველზე და წყვეტს დამოუკიდებლად. განაცხადის ფორმა დანართის სახით ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის არსებით შემადგენელ ნაწილს.

1.4. წინამდებარე ხელშეკრულების არსებით შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ბანკის ვებ-გვერდზე განთავსებული საბანკო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულება და ის საკითხები, რომელიც არ არის რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით განიხილება საბანკო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულების დებულებების შესაბამისად. ამ ხელშეკრულებებს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება წინამდებარე ხელშეკრულებას.

2. საბროკერო მომსახურების გაწევისა ძირითადი პირობები

2.1. კლიენტი ბანკს საბროკერო მომსახურების გაწევის (ოქროს სერტიფიკატის შეძენა/გასხვისება/განაღდება/დაგირავებას) შესახებ განაცხადს აწვდის დანართით განსაზღვრული ფორმით მხოლოდ ბანკის ინტერნეტ ბანკის მეშვეობით.

2.2. საბანკო დღის განმავლობაში მიღებული განაცხადების აღსრულებას ბანკი დაიწყებს განაცხადის მიღების დღის მომდევნო საბანკო დღეს. ამასთან, არასაბანკო დღეს და საბანკო დღის 18:00 საათის შემდეგ მიღებული კლიენტის განაცხადი მიღებულად ჩაითვლება მომდევნო საბანკო დღეს. აღნიშნული ვადები ვრცელდება კლიენტის მიერ ოქროს სერტიფიკატის შეძენა/საქართველოს ეროვნულ ბანკზე გასხვისება/განაღდებაზე. ოქროს სერტიფიკატთან დაკავშირებული სხვა ოპერაციის შესარულება შესაძლებელია კლიენტის განაცხადის და ყველა საჭირო დოკუმენტების მიღების/ბანკის მოთხოვნის შესრულების შემდეგ, არაუგვიანეს მეორე საბანკო დღისა.

2.3. კლიენტის მხრიდან ოქროს სერთიფიკატის შეძენასთან, საქართველოს ეროვნულ ბანკზე გასხვისებასთან ან განაღდებასთან დაკავშირებული განაცხადი გამოთხოვას ექვემდებარება მისი მიღების დღიდან მომდევნო საბანკო დღის 10:15 საათამდე, აღნიშნული დროის შემდეგ

ბანკი **კლიენტი**

---------- ----------

კლიენტის განაცხადს ენიჭება გამოუთხოვადი დავალების სტატუსი და მიუხედავად კლიენტის მომართვისა ბანკი უფლებამოსილია არ გააუქმოს განაცხადი;

2.4. ბანკის მხრიდან ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად განაცხადი ექვემდებარება შესრულებას, მხოლოდ მას შემდეგ, რაც საკუთარი შეხედულებისამებრ და სრული დისკრეციის ფარგლებში დათანხმდება/დაადასტურებს განაცხადის შესრულების განზრახვას. ბანკის მხრიდან განაცხადის შესრულების განზრახვის დასტური გაიგზავნება ინტერნეტ ბანკის მეშვეობით ან კლიენტის ელ-ფოსტაზე;

2.5. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს განაცხადით მოთხოვნილი აქვს ოქროს სერტიფიკატის შეძენა, ამ ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, კლიენტის ანგარიშზე განაცხადის შესაბამისად ოქროს სერტიფიკატის შეძენისათვის საჭირო თანხებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა თანხების (მათ შორის, მომსახურების საფასური და სხვა შესაძლო ხარჯები) არსებობის შემთხვევაში, ბანკი დაიწყებს კლიენტის განაცხადის შესრულებას, მათ შორის, საბანკო ანგარიშიდან ჩამოჭრის განაცხადის შესრულებისათვის და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა თანხების ანაზღაურებისთვის საჭირო თანხებს.

2.6. კლიენტი აცნობიერებს, რომ ოქროს სერტიფიკატის ფასი განახლებადია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და კლიენტი აცხადებს თანხმობას ბანკმა საბანკო ანგარიშიდან შემდგომი თანხმობის გარეშე ჩამოჭრას განცხადების მიღებიდან მის შესრულებამდე პერიოდში ოქროს სერტიფიკატის გაზრდილი საფასური. კლიენტის ანგარიშზე ოქროს სერტიფიკატის შეძენის განაცხადის შესასრულებლად შესაბამისი სახსრების არარსებობის შემთხვევაში, ბანკი თავისუფლდება განაცხადის შესრულების ვალდებულებისგან;

2.7. ოქროს სერტიფიკატის შეძენის მიზნით კლიენტის საბანკო ანგარიშზე უნდა ფიქსირდებოდეს შესყიდვის საფასური ეროვნულ ვალუტაში - ლარში;

2.8. ბანკი განაცხადის მიღებიდან არაუგვიანეს 5 საბანკო დღის ვადაში კლიენტს უგზავნის შესაბამისი განაცხადის შესრულების დასტურს ამ ხელშეკრულების 2.4. პუნქტით განსაზღვრული წესით;

2.9. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს საბანკო ანგარიშზე არ ექნება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ბანკისთვის გადასახდელი თანხები ან/და განაცხადის საფუძველზე მესამე პირისთვის ან/და ამ ხელშეკრულების მე-6 მუხლით განსაზღვრული საგადასახადო ვალდებულების ასანაზღაურებელი თანხები, ბანკი უფლებამოსილია წარმოქმნილი დავალიანება აინაზღაუროს კლიენტის დამატებითი თანხმობისა თუ აქცეპტის გარეშე კლიენტის სხვა აქტივებიდან, მათ შორის, კლიენტის საკუთრებაში არსებული ოქროს სერტიფიკატის რეალიზაციის ან საკუთრებაში მიღების გზით.

3. საბროკერო მომსახურების საფასური

3.1. ბანკი დამოუკიდებლად განსაზღვრავს საბროკერო მომსახურების საფასურს და ტარიფების სახით დაურთავს წინამდებარე ხელშეკრულებას. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულებას არ ახლავს დანართი ტარიფების სახით, მომსახურების საფასურის შესახებ ბანკი 2.4. პუნქტით განსაზღვრული წესით აცნობებს კლიენტს.

3.2. გარდა 3.1. პუნქტით განსაზღვული ტარიფებისა, კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ან შემდგომში დაწესებული თანხები, მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კლიენტის ოქროს სერტიფიკატ(ებ)თან დაკავშირებით დაწესებული ნებისმიერი საფასური.

3.3. კლიენტი ვალდებულია, ამ ხელშეკრულებით გასაწევი მომსახურების საფასური, განაცხადთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯი და დამატებითი გადასახდელები (ასეთის არსებობის

ბანკი კლიენტი

--- ---

შემთხვევაში) წინასწარ განათავსოს საბანკო ანგარიშზე, რომლის უაქცეპტო წესით ჩამოჭრასაც განხორციელებს ბანკი.

3.4. კლიენტი ვალდებულია აანაზღაუროს ამ ხელშეკრულებისა დადებასთან, დამოწმებასთან, რეგისტრაციასთან, შესრულებასთან და გაუქმებასთან დაკავშირებული ყველა და ნებისმიერი ხარჯი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3.5. ბანკი უფლებამოსილია, კლიენტის ვალდებულებების შესრულების მიზნით (მათ შორის, განაცხადიდან გამომდინარე გადასახდელი თანხები), საკუთარი შეხედულებით, კლიენტის წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე (უაქცეპტო წესით) ჩამოწეროს თანხები საბანკო ანგარიშიდან და მიმართოს შესაბამისი დანიშნულებით.

3.6. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი საბროკერო მომსახურების გაუქმების, შეჩერების ან/და შეწყვეტის შემთხვევაში, კლიენტის მიერ ბანკისთვის ასეთ გაუქმებამდე, შეჩერებამდე ან/და შეწყვეტამდე გადახდილი მომსახურების საფასური არ ანაზღაურდება.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. კლიენტი ვალდებულია:

4.1.1. ბანკში საბანკო ანგარიში (ასეთის არარსებობის შემთხვევაში) გახსნას და ოქროს სერტიფიკატთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის საბანკო ოპერაცია აწარმოოს ბანკში არსებული (გახსნილი) საბანკო ანგარიშ(ებ)ის მეშვეობით. კლიენტისთვის ცნობილია, რომ საბანკო ანგარიშის არსებობა საბროკერო მომსახურების გაწევის აუცილებელი წინააპირობაა და ასეთი ვალდებულების შეუსრულებლობის (მათ შორის, ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ საბანკო ანგარიშ(ებ)ის ნებისმიერი მიზეზით დახურვის) შემთხვევაში, გამოირიცხება ბანკის ნებისმიერი სახის პასუხისმგებლობა;

4.1.2. ჰქონდეს ბანკის აქტიური ინტერნეტ ბანკი და განაცხადი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებაზე გააკეთოს მხოლოდ ინტერნეტ ბანკის მეშვეობით.

4.1.3. ჯეროვნად, კეთილსინდისიერად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობები;

4.2. კლიენტი უფლებამოსილია:

4.2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით მოსთხოვოს ბანკს საბროკერო მომსახურების გაწევა;

4.2.2. ოქროს სერტიფიკატის განაღდებამდე და ეროვნული ბანკიდან შესაბამისი სტანდარტიზირებული ზოდის გატანამდე, ბანკის მეშვეობით მოითხოვოს აღნიშნული სტანდარტიზირებული ზოდის შეფუთვის გახსნა და ლაბორატორიული შემოწმება, საქართველოს ეროვნული ბანკის სათანადოდ უფლებამოსილი თანამშრომლის თანდასწრებით. ამასთან, ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების გამოყენების შედეგად ბანკის მიერ გაწეული ხარჯების სრულად ანაზღაურება ეკისრება კლიენტს;

4.3. ბანკი ვალდებულია:

4.3.1. კლიენტის დავალებით ოქროს სერტიფიკატის შეძენის შემთხვევაში, გადასცეს კლიენტს შესაბამისი ამონაწერი ოქროს სერტიფიკატის სუბრეესტრიდან და უზრუნველყოს აღნიშნული ამონაწერის კლიენტისათვის ხელმისაწვდომობა 3 საბანკო დღის განმავლობაში, მათ შორის, ელექტრონული საშუალებებით;

4.3.2. კლიენტის დავალებით ოქროს სერტიფიკატის განაღდების შემთხვევაში, უზრუნველყოს კლიენტზე შესაბამისი სტანდარტიზირებული ზოდის გადაცემა, ბანკში დადგენილი პროცედურებისა და კანონმდებლობის შესაბამისად, ბანკის მიერ ასეთი

ბანკი **კლიენტი**

--- ---

სტანდარტიზირებული ზოდის საქართველოს ეროვნული ბანკიდან მიღებიდან 10 საბანკო დღის ვადაში.

4.3.3. კლიენტის, როგორც ოქროს სერტიფიკატის მესაკუთრის, მოთხოვნის შემთხვევაში, გაუხსნას შესაბამისი ანგარიში GSSS სისტემაში, ამავე სისტემის წესების შესაბამისად;

4.3.4. კლიენტის სახელზე შენახული ოქროს სერტიფიკატთან დაკავშირებული ცვლილება ასახოს სუბრეესტრში.

4.4. **ბანკი უფლებამოსილია:**

4.4.1. არ განახორციელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება 1.3 პუნქტის შესაბამისად ან/და თუ კლიენტი დაარღვევს ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით განსაზღვრულ რომელიმე პირობას.

4.4.2. საბროკერო მომსახურების პირობები შეცვალოს ცალმხრივად ხელშეკრულების 12.2 პუნქტის შესაბამისად.

5. მხარეთა განცხადებები და გარანტიები

5.1. **კლიენტისათვის ცნობილია, რომ:**

5.1.1. განაცხადის საფუძველზე ოქროს სერტიფიკატის განაღდების მოთხოვნა და ეროვნული ბანკის მიერ მისი დადასტურება წარმოადგენს ოქროს სერტიფიკატის, როგორც ფასიანი ქაღალდის დაფარვას და მისი მიმოქცევიდან ამოღებას;

5.1.2. ოქროს სერტიფიკატი არსებობს მხოლოდ არამატერიალიზებული ფორმით, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემაში (შემდგომში – GSSS სისტემა) ელექტრონული ჩანაწერის სახით. ამასთან, ოქროს სერტიფიკატის საკუთრების დამადასტურებელია ბანკის ოქროს სერტიფიკატის სუბრეესტრში არსებული ელექტრონული ჩანაწერი;

5.1.3. კანონმდებლობის შესაბამისად ოქროს სერტიფიკატი შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც სხვა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება;

5.1.4. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, ოქროს სერტიფიკატის შენახვისათვის დაადგინოს საკომისიო, რის შესახებაც დამატებით წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული კომუნიკაციის წესით ეცნობება კლიენტს და რომლის გადახდის ვალდებულებაც სრულად ეკისრება კლიენტს;

5.1.5. საბროკერო მომსახურების გაწევის პროცესში ბანკი ხელმძღვანელობს კანონმდებლობის შესაბამისად და გამოირიცხება ბანკის ნებისმიერი სახის პასუხისმგებლობა თუ კლიენტის განაცხადის შესრულება ვერ განხორციელდება კანონმდებლობის, მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემის (GSSS) მიზეზით;

5.1.6. ვალდებულია, ბანკისგან მიღებულ ამონაწერებში (მათ შორის, სუბრეესტრის ამონაწერში), განაცხადის დადასტურებაში ან/და სხვა შეტყობინებაში შეცდომის (უზუსტობის) ან განსხვავების არსებობის შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბანკს წერილობით. კლიენტის მიერ, ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში, შეტყობინების განუხორციელებლობის შემთხვევაში, კლიენტი უარს აცხადებს შეცდომის (უზუსტობის) ან განსხვავების შესახებ მოდავების უფლებაზე და ამგვარი ინფორმაცია/მონაცემი ჩაითვლება სწორად თუ ბანკი სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს;

5.1.7. ბანკი უფლებამოსილია გადაამოწმოს კლიენტისაგან მიღებული ინფორმაცია და დოკუმენტები კანონმდებლობით გათვალისწინებული გზებით;

ბანკი **კლიენტი**

---------- ----------

5.2. კლიენტი ადასტურებს, რომ:

5.2.1. ხელშეკრულების ხელმოწერის დროისათვის ბანკმა სრულად გააცნო ოქროს სერტიფიკატის პირობები;

5.2.2. თუ სტანდარტიზირებული ზოდის შეფუთვის გახსნა და შემოწმება არ მოხდება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, ბანკი პასუხს არ აგებს სტანდარტიზირებული ზოდის შეუსაბამობაზე შესაბამის ოქროს სერტიფიკატთან;

5.2.3. თუ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სტანდარტიზირებული ზოდის შეფუთვის გახსნისა და შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ შემოწმებული სტანდარტიზირებული ზოდი შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებსა და შესაბამის ოქროს სერტიფიკატს, ბანკი პასუხს არ აგებს იმ ცვლილებებზე, რაც დადგება სტანდარტიზირებული ზოდის შეფუთვის მთლიანობის დარღვევითა და შემოწმებით;

5.2.4. ნებისმიერ შემთხვევაში, კლიენტის მიერ ოქროს სერტიფიკატის საფუძველზე შეძენილი ზოდის მიღების/ბანკიდან გატანის შემდეგ არ დაიშვება ბანკის მიმართ რაიმე პრეტენზიის წარდგენა მიღებულ ოქროს ზოდთან ან/და ოქროს სერტიფიკატთან დაკავშირებით.

5.3. მხარეები აცხადებენ და გარანტიას გასცემენ, რომ:

5.3.1. აქვთ სრული უფლებამოსილება და მიღებული აქვთ ყველა საჭირო თანხმობა/ნებართვა, რათა დადონ ხელშეკრულება და შეასრულონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

5.3.2. წინამდებარე ხელშეკრულების დადებით არ არღვევენ საქართველოს ან/და სხვა ქვეყნის კანონმდებლობას, სხვა პირებთან არსებულ სახელშეკრულებო ურთიერთობას და ხელშეკრულება შესაბამისობაშია სადამფუძნებლო დოკუმენტებთან;

5.3.3. წარმოადგენენ გადამხდელუნარიან პირებს, რომელთა მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის (გაკოტრების ან რეაბილიტაციის) საქმისწარმოება, ლიკვიდაციის პროცესი ან/და არ არსებობს სხვა სახის გარემოება, რომელიც ხელს შეუშლის მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას.

6. საგადასახადო საკითხების რეგულირება

6.1. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს ოქროს სერტიფიკატის შეძენასთან/ გასხვისებასთან/ განაღდებასთან/ დაგირავებასთან დაკავშირებით წარმოეშვება რაიმე საგადასახადო ვალდებულება, რომლის ადმინისტრირებაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ეკისრება ბანკს და კლიენტს საბანკო ანგარიშზე სრულად აქვს/ექნება შესაბამისი ოდენობის თანხა, ბანკი უფლებამოსილია კლიენტის დამატებითი თანხმობისა თუ აქცეპტის გარეშე, ჩამოჭრას საჭირო ოდენობის თანხა საბანკო ანგარიშიდან და მიმართოს კლიენტის დავალებით მოთხოვნილი ოპერაციის განხორციელების შედეგად წარმოშობილი კლიენტის საგადასახადო ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესასრულებლად;

6.2. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს საბანკო ანგარიშზე არ ექნება წინამდებარე მუხლით განსაზღვრული საგადასახადო ვალდებულების ასანაზღაურებელი თანხა, ბანკი უფლებამოსილია წარმოქმნილი დავალიანება აინაზღაუროს კლიენტის დამატებითი თანხმობისა თუ აქცეპტის გარეშე კლიენტის სხვა აქტივებიდან, მათ შორის, კლიენტის საკუთრებაში არსებული ოქროს სერტიფიკატის რეალიზაციის ან საკუთრებაში მიღების გზით;

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. მხარეები იღებენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი (ზარალი) კანონმდებლობით ან/და ხელშეკრულებით დადგენილი წესით. აგრეთვე, კანონმდებლობის

ბანკი **კლიენტი**

--- ---

დარღვევით, ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო მიყენებული ნებისმიერი სახის პირდაპირი და არაპირდაპირი ზიანი;

7.2. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ნებისმიერი ვალდებულების კლიენტის მხრიდან დარღვევის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია ბანკს გადაუხადოს პირგასამტეხლო მომსახურების საფასურის, გადასახდელი თანხის 0,5%-ის ოდენობით თითოეული ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს კლიენტს ვალდებულების ჯეროვანი შესრულების ვალდებულებისაგან.

8. კონფიდენციალობა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მხარეებს შორის გაცვლილი ნებისმიერი ინფორმაცია, როგორც დოკუმენტური ასევე ზეპირი სახით წარმოადგენს მკაცრად კონფიდენციალურს. შესაბამისად, თითოეული მხარე ვალდებულია მკაცრად კონფიდენციალურად შეინახოს მიღებული ინფორმაცია და არ დაუშვას მისი გამჟღავნება სხვა ნებისმიერი მესამე პირისთვის. მხარე ვალდებულია მიმართოს ყველა ძალისხმევას რათა, არ ჰქონდეს წვდომა კონფიდენციალურ ინფორმაციასთან სხვა მესამე პირს, ხოლო ასეთი შემთხვევის დადგომის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს და გამოიყენოს ყველა ღონისძიება შექმნილი გარემოების აღმოსაფხვრელად;

8.2. მხარე იღებს ვალდებულებას თავად აანაზღაუროს ყველა ის ზიანი, რაც შესაძლოა მიადგეს მეორე მხარეს კონფიდენციალური ინფორმაციის უკანონო გამჟღავნების შედეგად, ზიანის ოდენობის მიუხედავად. პასუხისმგებლობა არ დადგება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით და პირობებით, კონფიდენციალური ინფორმაციის გავრცელების/გადაცემის შემთხვევაში;

8.3. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მეორე მხარისთვის ცნობილი გახდა მხარეთა ან დაკავშირებული პირების პერსონალური მონაცემი, მეორე მხარე ვალდებულია, პერსონალური მონაცემები დაამუშაოს მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში კონკრეტული მიზნის მისაღწევად და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. დაუშვებელია პერსონალურ მონაცემთა გადაცემა ნებისმიერი მესამე პირისთვის ასევე მონაცემთა დამუშავება აუცილებელ ფარგლებს მიღმა. მხარე ვალდებულია თავად აანაზღაუროს ყველა ის ზიანი, რაც შესაძლოა მიადგეს მეორე მხარეს პერსონალური მონაცემების ნებისმიერი ფორმით არასწორად დამუშავების შედეგად, ზიანის ოდენობის მიუხედავად, მათ შორის, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მხრისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევაში;

8.4. გამჟღავნებად არ ითვლება ბანკის მიერ საბროკერო მომსახურებასთან დაკავშირებული პროცედურების შესრულება;

8.5. წინამდებარე თავით (კონფიდენციალობა) დადგენილი ვალდებულებები ძალაში რჩება ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც, შეწყვეტის თარიღიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში.

9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა პირდაპირ არის დაკავშირებული ფორს-მაჟორული გარემოების შედეგთან;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების

ბანკი **კლიენტი**

--- ---

შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, კარანტინით და სხვა;

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან;

9.4. იმ შემთხვევაში, თუ მხარე, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის მიზეზით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, აღნიშნული გარემოების დადგომის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე არ განახორციელებს მეორე მხარისათვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნას, არ თავისუფლდება საჯარიმო სანქციების გადახდის ვალდებულებისგან;

9.5. იმ შემთხვევაში, თუ ფორსმაჟორული გარემოება გრძელდება 1 თვეზე მეტი ვადის განმავლობაში, მეორე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, მხარისთვის შეტყობინებით.

10. დავების გადაწყვეტა

10.1. მხარეები უზრუნველყოფენ, რომ ხელშეკრულების ირგვლივ წამოჭრილი ნებისმიერი უთანხმოება მხარეთა შორის გადაწყდეს მოლაპარაკების გზით.

10.2. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შინაარსის დავა (მათ შორის, ხელშეკრულების არსებობასთან, ინტერპრეტაციასთან, შესრულებასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით) განიხილება თბილისის საქალაქო სასამართლოების მიერ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლოა შეწყდეს:

11.1.1. მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით;

11.1.2. ბანკის მიერ დაუყოვნებლივ ცალმხრივად, თუ კლიენტი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებებს;

11.1.3. ბანკის მიერ ცალმხრივად, კლიენტისათვის არანაკლებ 10 კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი შეტყობინებით;

11.1.4. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ შემთხვევებში.

11.2. კლიენტის მიერ ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევისას, ბანკი უფლებამოსილია, ამ ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საფუძვლ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში, შეაჩეროს კლიენტის მომსახურება და განახორციელოს ამ ხელშეკრულებით, საკუთარი შიდა პოლიტიკით/პროცედურებით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები;

11.3. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაუხადოს ბანკს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხები და შეასრულოს ბანკის ან/და სხვა პირების

ბანკი **კლიენტი**

---------- ----------

წინაშე ნაკისრი ყველა ვალდებულება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია, გადახდა განახორციელოს ამ ხელშეკრულების 2.9 პუნქტებით დადგენილი წესით;

11.4. თუ ხელშეკრულების შეწყვეტისას შემთხვევაში, კლიენტის ოქროს სერტიფიკატი სხვა პირზე არ იქნება გასხვისებული ან არ იქნება განაღდებული ან არ იქნება მომსახურე ბანკი შეცვლილი, კლიენტის განაცხადის საფუძველზე შესაძლოა მოხდეს მომსახურე ბანკი შეცვლა, რომელიც აწარმოებს შესაბამის სუბრეესტრს. თუ კლიენტი არ იძლევა ასეთ განაცხადს ან/და ნებისმიერი მიზეზით არ/ვერ ხდება კლიენტის ოქროს სერტიფიკატის მომსახურე ბანკის შეცვლა სხვა ბანკით, საკუთარი გადაწყვეტილებით, ახდენს ოქროს სერტიფიკატის რეალიზაციას ან აღრიცხავს მას ბანკის საკუთრებად ბანკის მიერ დადგენილი ღირებულების გაქვითვის სანაცვლოდ და გადაურიცხავს კლიენტს სხვაობის თანხას ასეთის არსებობის შემთხვევაში. ბანკი ასევე თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუკი კლიენტის საბანკო ანგარიშზე ნებისმიერი მიზეზით ვერ/არ ხდება თანხის გადარიცხვა.

12. დასკვნითი დებულებები

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ვადით;

12.2. ბანკს უფლება აქვს მისთვის მისაღები ნებისმიერი ფორმით (შეატყობინოს ან ხელმისაწვდომი გახადოს მათ შორის, ცვლილებებზე ინფორმაცია განათავსოს საკუთარ ვებ-გვერდზე ან სერვის ცენტრში შენობაში განთავსების გზით, რა დროსაც ცვლილება ძალაში შედის ასეთი გამოქვეყნებიდან 30-ე კალენდარულ დღეს, გარდა 12.2.1 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა), ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები (დამატებები) ამ ხელშეკრულებაში შემდეგი პირობებით:

12.2.1. მხარეები თანხმდებიან, რომ თუ ამ ხელშეკრულების პირობების ცვლილებას (დამატებას) ბანკი განახორციელებს კლიენტის სასარგებლოდ ან ტექნიკური ხარვეზის გასასწორებლად ან იმ ახალ მომსახურებაზე, რომელიც არ ცვლის ან არ ანაცვლებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საბროკერო მომსახურებას, ბანკი არ არის ვალდებული წინასწარ ან შემდგომ აცნობოს კლიენტს ცვლილების (დამატების) შესახებ. ამასთან, ბანკის მიერ წინამდებარე ქვეპუნქტით განსაზღვრული ნებისმიერი ცვლილება (დამატება) მხარეთათვის სავალდებულო ძალის მქონეა კლიენტის შეტყობინებიდან/ხელმისაწვდომობიდან მომდევნო სამუშაო დღეს;

12.2.2. მხარეები თანხმდებიან, რომ თუ ამ ხელშეკრულების პირობების ცვლილება (დამატება) აუარესებს კლიენტის მდგომარეობას ან ცვლის ან/და ანაცვლებს საბროკერო მომსახურების ფარგლებს ან აწესებს მომსახურების ახალ/დამატებით პირობებს/წესს/ვალდებულებას, ასეთი ცვლილება (დამატება) მხარეთათვის სავალდებულო ძალის მქონეა მათი კლიენტის შეტყობინებიდან/ხელმისაწვდომობიდან 30-ე (ოცდამეათე) კალენდარულ დღეს;

12.2.3. ამ მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი ცვლილება (დამატება) წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12.3. თუ წინამდებარე ხელშეკრულებით სხვა რამ არის განსაზღვრული, ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმებით. ხელშეკრულებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

12.4. თუ ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია ან მომავალში გახდება ბათილი, აღნიშნული არ გამოიწვევს მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას. ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები/პუნქტები განაგრძობს მოქმედებას ბათილი დებულების გარეშე;

ბანკი **კლიენტი**

---------- ----------

12.5. იმ საკითხებზე მსჯელობისას რაც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით, მხარეები იხელმძღვანელებენ კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით. ამასთან, კანონმდებლობაში განხორციელებული იმპერატიული ცვლილება, რომელიც არეგულირებს წინამდებარე ხელშეკრულების წესებს და პირობებს ავტომატურად ვრცელდება წინამდებარე ხელშეკრულებაზე, ცვლილების განხორციელების გარეშე;

12.6. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 ეგზემპლარად, თითოეული მხარისათვის.

13. მხარეთა რეკვიზიტები

ბანკი	კლიენტი
სს „ბანკი ქართუ“ მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ N39ა	დასახელება მისამართი: ---------- ელ-ფოსტა: ----------
წარმომადგენელი ----------	წარმომადგენელი ----------

ბანკი	კლიენტი
----------	----------